საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი. ნუცუბიძის IV მიკრორაიონი (ს.კ. 01.14.01.001.145) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონი (ს.კ. 01.14.01.001.145) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევის შედეგები, შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება და აგრეთვე პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია ინჟინერ-კონსტრუქტორის, თამაზ ბენდელიანის, მიერ. ქალაქის სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით სამშენებლო მოედანი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას, ქარის ნორმატიული სიჩქარე - 37მ/წმ, ქარის ნორმატიული დაწოლა - 85 კგ/მ^2. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50კგ/მ^2.

საპროექტო შენობა 13 სართულიანია, შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, ზომებით 57.90X19.30მ. (ღერძებში).

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა ხისტკვანძებიან მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სისტემას წარმოადგენს. პროექტის მიხედვით შენობის კარკასი წარმოდგენილია შემდეგი რკ. ბეტონის ელემენტებით:

1. მონოლოთური საძირკველს წარმოადგენს 100 და 120სმ დიამეტრის ბურღვით ნატენი ხიმინჯები, რომლის გრძივი არმირება არის 8 Φ 25 A500c , 8 Φ 20 A500c, 10 Φ 20 A500c; ხოლო განივი Φ 8 A500c ბ.-100; ბეტონის კლასია B30; იგი ეფუძნება ძირითად ნაკლებადგამოფიტულ ქვიშაქვებისა და სუბარგილითების მორიგეობის ფენას (ფენა – 4, სგე-1), რომლის სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_{cn}=98.0კგძ/სმ^2 სიმკვრივე ρ= 2.40 გრ/სმ^3; დეფორმაციის მოდული E=19000.0კგძ/სმ^2;

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა ჩატარებულია ინჟინერ გეოლოგ მ. ბაბილოძის მიერ.

სამშენებლო ტერიტორია სწორია, ქვაბულის ფერდები ბუნებრივი ქანობებითაა გათვალისწინებული და შესაბამისად არ ითხოვს დამატებით გამაგრება-გაძლიერებებს.

2. რანდკოჭების კვეთია 100X50სმ-ზე, და დაარმირებულია 7 Φ 2 A500c არმატურით ზედა და ქვედა შრეში, და დამატებითი 7 Φ 25 A500c არმატურით ანგარიშის შესაბამისად; ხოლო როსტვერკების სიმეღლე 100სმ-ია; ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულის 20სმ სისქის რკ.ბეტონის ფილით; ბეტონის კლასია B25; როსტვერკები ჩაჭყლეტის ზონაში დაარმირებულია Φ 12 A500c ბ.-150 არმატურით;

3. კოლონების განივკვეთის ზომები 50X50სმ-ია და არ იცვლება შენობის მთელ სიმაღლეზე, რაც შეეხება მის არმირებას, ცვლადია და მცირდება მის სიმაღლესთან ერთად, ბეტონის კლასია B25;
4. რიგელების კვეთები 50X50სმ, 20X50 და 30X50სმ-ია, ბეტონის კლასია B25;
5. სართულშუა გადახურვები ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის რიგელებითა და ფილებით. სართულშუა გადახურვების ფილის სისქე შეადგენს 16სმ, ფილების ძირითადი არმირებაა Φ 10 A500c ბ.-200 ზედა და ქვედა შრეში და ზედა შრეში ღერძების გასწვრივ დამატებული აქვს Φ 10 A500c ბ.-200 არმატურა, ხოლო ბეტონის კლასია B25;
6. შენობას სეისმიური დატვირთვების მისაღებად გააჩნია რკინაბეტონის 25სმ სისქის დიაფრაგმები, რომლებიც განლაგებული არიან სიმეტრიულად, შენობის მთელ სიმაღლეზე, ბეტონის კლასია B25;
7. მონოლითური რკინაბეტონისაა აგრეთვე შიდა კიბეების კონსტრუქციებიც, სისქით 16სმ; ბეტონის კლასია B25;

გარე კედლები (კარკასის შევსება) და ტიხრები გათვალისწინებულია მსუბუქი ბეტონის ბლოკებისაგან.

შენობის გაანგარიშება შესრულებულია სასრულ ელემენტთა მეთოდით, ЛИРА-САПР 2013 R3-ის გამოყენებით, სამშენებლო ნორმები და წესები "სეისმომედეგი მშენებლობა"(პნ 01.01–09) გათვალისწინებით.

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ და დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვებზე, ჰორიზონტალურ სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. საანგარიშო სქემაში საძირკვლის ფუძის გრუნტების მუშაობა, შენობის საანგარიშო მოდელი დაპროექტებისათვის მისაღები სიზუსტით შესაძლოდ სრულად აღწერს ნაგებობის მუშაობის სურათს.

უნდა აღინიშნოს საექსპერტიზოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესრულების მაღალი დონე, როგორც შინაარსობრივად, ასევე გაფორმებით. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსაქმელი. მუშა ნახაზებში მოცემულია შენობის ჩონჩხედის ელემენტების სქემები; კონსტრუქციების დაარმატურებები; დამახასიათებელი დეტალები და კვანძები; მოყვანილია გამოყენებული მასალების სპეციფიკაციები. ამდენად, დამპროეტებელ კონსტრუქტორთა მიერ ხორციელდება ცნობილი კონსტრუქციული გადაწყვეტების მისადაგება-მორგება არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან, ადგილობრივ მეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ და სეისმოლოგიურ პირობებთან.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ექსპერტიზის ჩატარების პროცესში პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებული იყო

ექსპერტის შენიშვნები და სათანადო კორექტივები შეტანილი იყო პროექტში.

დასკვნა

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ქ.თბილისში. ნუცუბიძის IV მიკრორაიონი (ს.კ. 01.14.01.001.145) ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ინჟინერ-კონსტრუქტორი ილია მეხრიშვილი

iloko46@yahoo.com

595-14-60-72

08.10.2019წ.





დიპლომი

ЖВ № 187451

ეს დიპლომი მიეცა ილია გიორგის ძე მეხრიშვილს

მასზე, რომ იგი 1976 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ... ინსტიტუტში

და 1981 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წ. „8" 07 გადაწყვეტილებით ი.გ. მეხრიშვილს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1982 წ. „29" I

სარეგისტრაციო № 11277

Грузинский из.

ДИПЛОМ

ЖВ № 187451

Настоящий диплом выдан *Мехришвили Илье Георгиевичу*

в том, что он ... в 1976 году поступил в *Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина*

и в 1981 году окончил полный курс *названного института*

по специальности *промышленное и гражданское строительство*

Решением Государственной экзаменационной комиссии « 8 » 07 1981 г.

Мехришвили И.Г.

присвоена квалификация *инженера-строителя*

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город *Тбилиси* „29" I 1982 г.

Регистрационный № 11277

Московская типография Гознака. 1979.

CURRICULUM VITAE (CV)

პროფესია	ინჟინერ-კონსტრუქტორი
სახელი, გვარი	ილია მეხრიშვილი
დაბადების თარიღი	19 ივლისი 1959
დაბადების ადგილი	ქ. თბილისი
მოქალაქეობა	საქართველოს მოქალაქე

განათლება:
უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობა
სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

სამუშაო გამოცდილება:

პერიოდი	დამსაქმებელი ორგანიზაცია და თქვენი თანამდებობა. საკონტაქტო ინფორმაცია	ქვეყანა	აღწერეთ თქვენი მოვალეობები
1981-1985	"საქსოფლმშენსახპროექტი" ინჟინერ-კონსტრუქტორი	საქართველო	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანგარიში და დამუშავება
1985-1989	სახლმშენებელი კომბინატი № 5 ტექნიკური განყოფილების უფროსი	საქართველო	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.
1989- 1995	"თბილქალაქპროექტი" ინჟინერ-კონსტრუქტორი	საქართველო	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანგარიში და დამუშავება. მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობის განხორციელება.
2008-დღემდე	შპს "არტსტუდიო პროექტი" ინჟინერ-კონსტრუქტორი	საქართველო	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანგარიში და დამუშავება. მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობის განხორციელება.

ენები (მიუთითეთ მხოლოდ ის ენები, რომელშიც შეგიძლიათ მუშაობა)
რუსული
ინგლისური

კომპიუტერული პროგრამები Word; Excel; PowerPoint; AutoCAD; ArchiCAD; ПК ЛИРА; МОНОМАХ; E-mail; internet;

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ქ. თბილისი ე. ტატიშვილის ქ.№18
ტელეფონი: 599 14 60 72
E_mail: iliko46@yahoo.com